ოქმი:**ო03. 3724206001**

თარიღი:**24/07/2024**

ოქმი № 11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2024 წელი, 23 ივლისი

ქ.ოზურგეთი

12.00-13 .00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ბ. თოიძე, ნ. ქარჩავა, ქ. ხომერიკი, ტ. აროშიძე, ლ. ბიგვავა, ს. ქარცივაძე, დ. მჟავანაძე, მ. ვაშალომიძე, ბ. მელუა, ნ. ღაჟომია.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მე-2 კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: გ. ჩაგანავა

სხდომის თავმჯდომარემ, გ.ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი, ვრცელი ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა გ. ჩაგანავამ, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო გეგმის სესრულების ძირითადი პარამეტრები-შემოსავლები და ხარჯები კონკრეტული მუხლების მიხედვით, ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრმა ს. ქარცივაძემ განაცხადა, რომ კარგი იქნება კომისიის წევრები სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე იღებდნენ განსახილველ მასალებს, განუმარტეს, რომ მასალები ელექტრონულად ეგზავნებათ შესაბამისი ფრაქციების თავმჯდომარეებს, რომლებმაც წევრებს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია. კომისიის თავმჯსდომარემ გ. ჩავლესვილმა კომისიის წევრებს გააცნო სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნა, კომისიისწევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის საკრებულოს სხომაზე წარდგენა განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, აღნიშნა, რომ არასაგადასახადო შემოსავლების ამ სახეში წლების მანძილზე არ სრულდებოდა წლიური გეგმები, 2023 წელში მოხერხდა მისი 80% -ით შესრულება, რაც განაპირობა სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებამ, 38 მოიჯარეს გაუუქმდა ხელშეკრულება, ამჟამად მოქმედებს 69 ხელშეკრულება და

მიმდინარე წელის შესაბამისი პერიოდის გეგმა უკვე გადაჭარბებითაა შესრულებული, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ინფორმაციის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვიტეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული ორივე საკითხი წარედგინოს საკრებულოს სხდომას განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი